<u>დანართი №4</u>

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, სრული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ - პროფესორისათვის არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
ა) სრული პროფესორი - თვეში 1000 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 800 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 600 ლარი.

2. წინამდებარე დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
ა) სრული პროფესორი 150 ლარი თვეში;
ბ) ასოცირებული პროფესორი 130 ლარი თვეში;
გ) ასისტენტ-პროფესორი 110 ლარი თვეში.

3. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის დანამატი, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (სრული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო ყოველკვირეულ დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის – არანაკლებ სავალდებულო 20-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო ყოველკვირეულ დატვირთვას; ასისტენტ პროფესორისათვის – არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო ყოველკვირეულ დატვირთვას), შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სრული პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 930 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 660 ლარი.